№ 83

ოთხშაბათი, 19 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 83

ოთხშაბათი, 19 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ" განზრახულია გაიმართოს მაისის 6 და 7-ში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები იქმნება 25-დგან 28 აპრილამდე, დილის 9 საათზედ, სასწავლებლის შენობაში. იმათ, რომელთაც თხოვნასთან ერთად ჯეროვანი საბუთის ქაღალდები არ წარმოუდგენიათ, ვთხოვთ იზრუნონ მათდა წარმოსადგენად 22 აპრილისათვის. (8—6.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**სალამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სა-ჯანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ძარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

## ახალი ამბავი

*** უმაღლესის ბრძანებით თავადის ასული ნინო ბაგრატიონ-მუხრანსკისა მისის უდიდებულესობის დედოფალ იმპერატრიცის ფრეილინად იქმნა დანიშნული.

*** ტფილისში ჩამოვიდა მიხეილ ხუციშვილი, რვა წლის ბავშვი, ვიოლონჩელის დამკვრელი. მკითხველებმა უკვე უწყიან ჩვენის გაზეთებიდგან, რომ ამ ნიჭიერმა ბავშვმა პეტერბურგში ჟურნალ-გაზეთებისა და მცოდნე კაცების ყურადღება მიიქცია. ყველანი ერთ-ხმად შეაქებენ და ამბობენ, რომ ხუციშვილი დიდის ნიჭით არის დაჯილდოვებული. პირველი კონცერტი მ. ხუციშვილისა ტფილისში შაბათს, 22 აპრილს, გაიმართება. კონცერტ „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში იქმნება.

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნ იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის პატივისმცემელთ, მისდა პატივსაცემლად, მისის სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გაჰმართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

*** 17 აპრილს ტფილისის ქალაქის საბჭოს მოახსენა გამგეობამ, რომ რადგან გამგეობის წევრი ბ-ნი ე. ე. ხოსროევი ძლიერ ავად არის, მიაქციეთ-რა ყურადღება მის ხანგრძლივს სამსახურს ქალაქის თვით-მართველობაში და ხელმოკლეობას, გარდავსწყვიტეთ 500 მან. დახმარება აღმოუჩინოთო, რის თანახმაც საფინანსო კომისიაც არისო. საბჭომ, 32 ხმით 1-ის წინააღმდეგ, შეიწყნარა ეს წინადადება. შემდეგ კრებამ განაგრძო ქალაქისა და ინჟინერ როზის შორის დადებულ ხელშეკრულობის პროექტის განხილვა მთაწმინდის მთაზედ ფუნიკულერის გაყვანის შესახებ. ხელშეკრულება სავსებით განხილულ და მოწონებულ იქმნა ცოტაოდენ უმნიშვნელო ცვლილებათა შეტანის შემდეგ.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს შეიძინოს ანდრეევის ქუჩაზედ ისარლოვის მიწა და შემდეგ ეს მიწა სახალხო კითხვე-

## ფელეტონი

### საგულისხმიერო წიგნი

იმ დროს, როდესაც ჩვენს მწერლობას თანდათან ეპარება დეკადენტობა, მისტიციზმი, უაზრობა, არაკაცური მოძღვრებანი, ქალთა დევნა, მეცნიერების უარის ყოფა, მაბეზღართა გაღმერთება, უნიჭოთა გაგენიოსება,--სიამოვნებითა ჰკითხულობ იმგვართა ახალთა ნაწერთა, როგორც წიგნი ილია ალხაზიშვილისა „ბუნება და ცხოვრება". ამ წიგნის მიუფერლობა, გონივრულად საქმის შეხება, ჩვენს საჭირ-ბოროტო საქმეებზედ აწონილი აზრით ლაპარაკი, მითითება და ჩვენება იმ საგნებისა და გარემოებათა, რომლებზედაც არიან დამოკიდებულნი ყოფნა თუ არ ყოფნა არამც თუ თვითეული კაცისა ცალკე, არამედ მთელი ნაციებისაც,—გარწმუნებს, რომ ჩვენი მწერლობა კიდევ ჰფხიზლობს და გაძლევს ნუგეშს, რომ ზემოდ მოყვანილი სამწუხარო მოვლენანი ჩვენს მწერლობაში არიან დროებითნი, არიან ნაყოფნი სნეული დროსი, რეაქციონური გარემოებისა, და საღი გონი, ნათელი იდეალები არ ჩამქრალან, ებრძვიან ბნელს, უდგანან დარაჯად მოსეულს წყვდიადს, კაცთა გონისა და ზნეობის თრგუნვას.

ეს ორიგინალური წიგნი „ბუნება და ცხოვრება" ილია ალხაზიშვილისა რაოდენათმე გვგონებთ სამაგალითო და, სამწუხაროთ, საზოგადოებისაგან შეუნიშნავს წიგნს „კალმასობას", შედგენილს ბერის იონა ხელაშვილისაგან, რომელიც დაიჩემა იოანე ბატონიშვილმა, და ჩვენმა მწერლობამაც მიაკუთვნა მას, დაჰბეჭდა და გამოსცა მის სახელობაზედ *).

„კალმასობაში" იონა ხელაშვილი აგვიწერს თვისს მოგზაურობას ქართლ-კახეთში. როგორც გოგოლს არა ჰყავს მოგზაურად გამოყვანილი ჩიჩიკოვი თვისს „Мертвыя Души"-ში, რომ მისი მოგზაურობით ჰქონდეს მიზეზი დაახასიათოს რუსეთის ცხოვრება, ისე იონა ხელაშვილი გოგოლზედ ორმოცი, ორმოც და ათი წლის წინად ქართლ-კახეთის დასახასიათებლად აგვიწერს თავისს მოგზაურობას ვითომც და მონასტრისათვის კალმასის შესაგროვებლად. რავდენადაც გოგოლი თავისს საქმეში დახელოვნებით მაღლა სდგას ხელაშვილზედ, იმდენად ხელაშვილის მიზანი ვრცელია და მრავალფეროვანი ამ მოგზაურობაში, სწორია ცხოვრებასთან. გოგოლი სცდილობს ტიპების გამოყვანით ანუსხოს რუსეთისა ზოგი რამ ანორმალური ცხოვრება. იმისი ტიპების ხასიათნი არიან ამოკრებილნი სხვა-და-სხვა პირთაგან და ესე ერთგვარნი ხასიათნი არიან მოქცეულნი ერთს ფოკუსში, ერთ ტიპად შეზავებულნი. აქ ადვილად შეიძლება ავტორს ბევრი რამ შეეპაროს ისრე, რომ გადაცდენილი იყვეს ნამდვილს ცხოვრების სახეს, ცხოვრებაზედ აგებულს მოვლენას, ცხოვრებიდამ გამომდინარე ნაყოფს, არ იყვეს სახე ნამდვილი ცხოვრებისა. ერთი სიტყვით ამ გვარი ტიპთა აღწერა არ არის ისტორია, არის ბელლეტრისტიკა, რომლისაც სინამდვილეს თვით ავტორნიც ვერ გვითავდებებენ, თუმცა-კი დახელოვნებულნი და დიდი ნიჭის ავტორნი მკითხველს თუ ზედ მიწევნით არა, რაოდენათმე აცნობენ ცხოვრებას. ხელაშვილი-კი გიჩვენებთ ნამდვილთ ცოცხალ პირთ, ნამდვილთ საქმეთა, პირთ ისტორიულთა, საქმეთ ისტორიულთა, მოურთავად, მოუკაზმავად, გაუმშვენებლად, გაუზვიადებლად, რაცა და როგორც უნახავს თავისი თვალით. ასრე რომ ცოცხალი პირებით, მომხდარი საქმეებით გიხასიათებთ იმ სამწუხარო დროს, როდესაც ელებოდა საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებას ბოლო. გოგოლის წიგნში გეხსნებათ თვალ-წინ რამდენიმე წრე რუსის საზოგადოებისა სამასხარო და სასაცილო მხრიდამ, გესახებათ სადამდის მიაღწევინა ხალხს უშვერებამ, უმეცრებამ, გონების უმოძრაობამ, მონებამ, ყრუ ცხოვრებამ, შინაურს სახელმწიფო საქმეებში გაურევლობამ. ჰკითხულობთ და გეცინებათ; თუ იღვიძებს თქვენს გულში ზიზღი ამ ცხოვრებისა—თითქმის შეუმჩნევლად, ყრუდ. საბაკევიჩი, რომელიც მკვდრებს ცოცხლების ფასად აფასებს, კარობოჩკა, რომელიც გარბის ქალაქში გაიგოს, რა მაზანდაა მკვდრებისა და როგორ იყიდებიან, მანილოვი, რომელიც ელის ხელმწიფისაგან ღენერლობა ჩიჩიკოვთან დამეგობრებისათვის, თვით ახირებული ცრუპენტელა ნოზდრიოვი, რომელიც, როცა ამბობს, ჩიჩიკოვი ნაპოლეონია რუსეთში შემოპარებული, ნამდვილად ამტკიცებს, რომ ნაპოლეონიაო, როცა ამბობენ, რომ თაღლითი ასიგნაციების გამსაღებელია, ამტკიცებს, რომ სწორედ ის არისო, და სხვანი, თუმცა სამარცხვინო მოვლენად გეჩვენებათ, მაგრამ თვისი მასხარული და სიცილის მომგვრელ ქცევათა დახასიათებით თითქო გარიგებენ მათს ქცევასა და ხასიათებთან, მათს მოვლენასთან. ხელაშვილის გამოყვანილნი პირნი და გარემოებანი სულ სხვა არიან. ის თვისი აღწერილობით გიმღვრევთ გულს და გონს იმ გახრწნილებით, იმ ზნე-დაცემით, სადამდისაც მივიდა მაშინდელი საქართველო. აქ საცინელი კი არა, ყოველი კალმის წვეთი სატირელია. თქვენი გული და გონი-კი არ ურიგდება ამ მოვლენათა, გერევათ ზიზღი, გრცხვენიათ მათ მაგიერ და, თუ ჰხედავთ რასმე თქვენს თავში დარჩენილს ამ ზნე-ჩვეულებიდამ, გიღვიძებთ გულში გრძნობა დასდრგუნოთ იგი თქვენს თავ ა და სხეულშიაც, რათა განიკურნოთ მისკან...

გარდა ამისა „კალმასობას" აქვს ერთი დიდი ღირსება, მეტადრე იმ დროსათვის, როდესაც არა გვქონდა ჩვენ სამეცნიერო სახელმძღვანელო წიგნები, სამეცნიერო სწავლა არ იყო ჩვენში გავრცელებული. ამ მოგზაურობის დროს გზა-გზა ხელაშვილი ჩამოაგდებს ლაპარაკს სხვა-და-სხვა მეცნიერებაზედ. მისი მხლებელი, გორელი ზურაბა ლამპარაშვილი ეკითხება ყველა ამ მეცნიერებათა ცალცალკე მნიშვნელობას. იმართება აქ კითხვა-მიგება, და ამგვარად დიალოგებით, გასაგონი მდაბიო ენით ხელაშვილი უხსნის ყველა მაშინდელს დროის მეცნიერებათა მნიშვნელობას. ასრე რომ ხელაშვილი თვისი წიგნით „კალმასობა" არამცთუ გვაცნობებს მაშინდელი ქართლ-კახეთის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, გარემოებას, გახრწნილებას, დაცემას,—ის უყრის ქართულს ენაში საძირკველს ყველა მაშინდელთა სამეცნიერო საწავლათა, ჰბადებს ტერ-

*) იოანნე ბატონიშვილმა მარტო ეს წიგნი-კი არ დაისაკუთრა, დაისაკუთრა სხვა წიგნიც, ესე იგი დაიჩემა მათი ავტორობა. პეტრე ლარაძე უჩივის იმას: მე რომ „დილარიანი" დავსწერე, იოანე ბატონიშვილმა მთხოვა წასაკითხათ და მემრე დაიჩემაო. მეტი გზა აღარ იყო, ავდექი და სხვა უფრო კარგი დავსწერეო. ავტ.

ზის კომისიას დაუთმოს თეატრისა და აუდიტორიის ასაშენებლად. შაბათს, 15 აპრილს, საბჭოს კომისიას მოლაპარაკება ჰქონდა ამ საგნის გამო. კომისიას საჭიროდ უცვნია ისარლოვს თავისს ადგილში ქალაქის ადგილი გაუცვალოს. საბოლოოდ ამ საქმის გადაწყვეტა კომისიას შემდეგ კრებისთვის გადაუდვია, რომელზედაც ქალაქის იურის-კონსულტიც იქმნება მიწვეული.

*** კვირას, 16 აპრილს, მოხდა კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება. ამ კრებაზედ წაკითხულ იქმნა საზოგადოების წარსულის წლის ანგარიში.

*** კახეთის რკინის გზის გასაყვანად შემდგარი სააქციონერო საზოგადოება, როგორც ისმის, ამ დღეებში შეუდგება მუშაობას.

*** ქუთაისის სასულიერო სემინარიაში პირველად წრეულს ათავებენ მოსწავლენი სწავლას. სულ 30 ყმაწვილმა უნდა დაამთავროს წელს.

*** განჯის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში კალია გაჩენილა.

*** სოხუმიდგან 1-ლ იანვრიდგან დღემდე 100,000 ფუთამდე სიმინდი გაუტანიათ ოსმალეთში.

*** 2 აპრილს სოფელ აწყურში (ახალც. მაზრა) უეცრად გარდაცვლილა ადგილობრივ სასოფლო საავადმყოფოს გამგე მკურნალი ი. ბ. ბარამიშვილი. ბარამიშვილი ახალგაზრდა, 35 წლის კაცი იყო. განსვენებულმა 1890 წელს დაამთავრა სწავლა ხარკოვის უნივერსიტეტში; ცოტას ხანს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში მსახურებდა. აწყურში 1895 წელს დანიშნეს. ბარამიშვილის გარდაცვალებამ მთელი ახალციხის მაზრა დაალონა თურმე.

*** როგორც „ცნ. ფურ.“-ს ატყობინებენ, ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევნები, რომელიც 26 მარტს მოხდა, უკანონოდ იცნეს და გააუქმეს. ახალი არჩევნები 30 აპრილისათვის იქმნა გადადებული.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს სოხუმის ოლქის შეერთებისას ზღვის პირის გუბერნიასთან. ამ პროექტით ნოვოროსიისკიდგან სამხუბერნიო მმართველობა ღ. სოჭში იქმნება გადატანილი. სამურზაყანო ზუგდიდის მაზრას მიეწერება, ხოლო აფხაზეთი — შავის ზღვის პირის გუბერნიას. აფხაზეთში სამი მაზრა იქმნება, ოჩამჩირისა, სოხუმისა და გუდაუთისა.

*** უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ნავთლუღში მატარებლებიდგან საქონლის გადმოსხმა და მატარებლებზედ დასხმა სხვაგან გასაგზავნად. მთავრობამ ბეითალს ლიუბიმოვს მანდო თვალ-ყური ეჭიროს იმ საქონელზედ, რომელსაც ნავთლუღში მიიყვანენ რკინის გზით ან ნავთლუღიდგან წაიყვანენ.

*** გუშინ-წინ, 17 აპრილს, ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში გამგეობის საქმის-მწარმოებლის ბ-ნ ბეგის სამსახურიდგან დათხოვნის გამო. ბეგის დათხოვნის მიზეზი ის იყო, რომ ბარათზედ, რომელიც ქალაქის გამგეობის წევრის შესტაკოვისთვის გაუგზავნია, დაწერილი იყო: „ბატონ შესტაკოვს“, და „გამგეობის წევრი-კი“ მოხსენებული არ იყო. ეს საწყენად მიუღია შესტაკოვს. ქალაქის მოურავს ბ-ნი ბეგი სამსახურიდგან დაუთხოვნია. ხმოსანი ბაბოვი თავისს განცხადებაში უკანონოდ სთვლის მოურავის ასეთ განკარგულებას და თხოულობს, რომ ყოველიკე ასეთი განკარგულება მოხელეთა დათხოვნის შესახებ ქალაქის საბჭოს გადაეცეს ხოლმე განსახილველად.

*** როგორც „ტფილ. ფურც.“-ს ატყობინებენ, 14 აპრილს გომბორში სეტყვა მოსულა. სეტყვას მცხოვრებნი შესამჩნევად დაუზარალებია.

*** ქუთაისი. 1890 წ. აპრილის 17 გამოიცა უმაღლესის მთავრობის ბრძანება იმის შესახებ, რომ ხუთის წლის განმავლობაში გამოკვლეულ უნდა იქმნას სამეგრელოში ვინ თავადია და ვინ აზნაური. რადგან ბევრმა ვერ მოასწრო ყველა საბუთის წარდგენა დეპუტატთა საკრებულოში თავად აზნაურთა გასარჩევად, ამისათვის თავად-აზნაურობამ ითხოვა მთავრობის წინაშე, რომ კიდევ მოგვეცით ვადაო. უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო 1895 წ. 17 აპრილიდგან კიდევ ხუთის წლის განმავლობაში არსებულის წესით ირჩეოდეს საქმეო. ამ აპრილის 17-ს ეს ვადაც გათავდა. ახალნი თხოვნანი აღარ მიიღება სადეპუტატო საკრებულოში თავად-აზნაურობის ღირსების მინიჭების შესახებ. როგორც შევიტყეთ, განზრახვა აქვთ შუამდგომლობა აღძრან უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ეს მეორედ დანიშნული ვადა გახანგრძლივებულ იქმნას კიდევ ხუთის წლის ვადით, რადგან ბევრმა სიღარიბის გამო ვერ მოასწრო თავისის ვინაობის დამამტკიცებელ საბუთების მოძებნა და მომზადებაო.

*** 15 აპრილს, საღამოს 6 საათზედ, ავლაბარში, პაკროვის ეკლესიის მახლობლად, რჩუბი მოუვიდათ აზნაურს ივანე ლორთქიფანიძესა და ტფილისის მცხოვრებს ზახაროვს, რომლის დროსაც ლორთქიფანიძემ მძიმედ დასჭრა ზახაროვი. ზახაროვი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. ლორთქიფანიძე შეიპყრეს და დააპატიმრეს.

*** დ. ზესტაფონი, (შორაპნის მაზრა). აქაურ წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ სცენის მოყვარეებმა 11 აპრილს გამართეს ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა „რაც განახავს, ვეღარ ნახავ“ და „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, მაგრამ საზოგადოება ცოტა დაესწრო, ეს ერთობ საკვირველია, მით უფრო, რომ 8 თვე იქნება, რაც აქ წარმოდგენა არ გამართულა. როგორც ამბობენ, 30 მანეთი უნდა შემოსულიყოს, რომელიც ხარჯს ძლივს დაფარავდა.

სამკითხველოსავე სასარგებლოდ გნ. ეკატერინე კრისთავისამ 15 აპრილს საცეკვაო საღამო გამართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. წმინდა შემოსავალი ას თუმნამდე იქნება. ამ საღამოს მეჯლისე დაუთმო თავისი სახლი ბ-ნმა ი. ცერცვაძემ, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსია.

*** სტავროპოლი, (კავკასის მაზრა). სტავროპოლის სამრევლოში, თითქმის ორი წელიწადია, რაც ყველაზე მეტად აწუხებს მკვიდრებს და მის მოსახლეობას არა კვლავ. მიზეზი ამისა უფრო ის არის, რომ აქაური ხალხი, მომეტებულად მანდილოსნები, გადამდებს სენს არ ერიდება. მიცვალებულს დედაკაცები ხელს ახლებენ, ჰკოცნიან და კუბოც დაუკეტავი აქვთ. ამის გამო, რასაკვირველია, გადამდები სენი მძლავრად მოისპობა სოფელში.

*** ს. ბია, (ზუგდიდის მაზრა), 8 აპრილს აკურთხეს აქ მღ. ნესტორ სახანიას მეცადინეობით ახლად აშენებული ქვიტკირის ეკლესია.

*** 16 აპრილს, კვირა-ცხოვლობის დღეს, კვირა-ცხოვლის გორაზედ აუარებელი ხალხი შეიკრიბა. გორაზედ საქანელები იყო გამართული, ბევრგან ფერხულიც ჩააბეს და კრივიც უნდა გაემართათ, მაგრამ პოლიციამ ნება არ მისცა. სეირნობამ და ცეკვა-თამაშმა რვა საათამდე გასტანა, როდესაც პოლიციის განკარგულებით ყველა ბალაგანები დახურეს. დღესასწაულმა უჩხუბოდ ჩაიარა.

*** ფრანგმა ემ. პერრენმა გამოუცხადა პოლიციას, რომ 14 აპრილს, ღამის 11 საათზედ, როდესაც არტილერიის მოედანზედ მივდიოდით, გორგიჯანოვის დუქნის მახლობლად შევხვდი ვლადიმერ ნემიკინსა და დავით პოპოვს, რომელთაც მითხრეს გაგაცილებთო, შემდეგ მტაცეს ხელი, ამოამაცალეს ჯიბიდგან 24 მან. და ამაცლიეს 12 მანეთად ღირებული საათი. დამნაშავენი პოლიციამ უკვე შეიპყრო.

## წერილი ფშავ-ხევსურეთიდგან

ფშავ-ხევსურების უკან ჩამორჩენისა და უზომოდ დაქვეითების უტყუარი მიზეზია მათის ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ჰავა-ნიადაგის თვისებანი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაცს, თუ ცოდნა აქვს, ბუნების დამორჩილებაც შეუძლიან. შეუძლებელი საქმეა, რომ სუსტსა და მწვავს ბუნებას სწავლა-განათლების მთლად დათრგვნა შეეძლოს; მას მხოლოდ წაფერხება შეუძლიან. ფშავი მდებარეობს თიანეთის ზემოდ ჩრდილოეთისკენ დუშეთის პირდაპირ, ხოლო ჩრდილოეთით ფშავ-ხევსურეთი უძევს. ფშავ-ხევსურეთი ძალიან მთა-გორიანი ადგილია; მეტად ცივი და სუსხიანი ზამთარი იცის; სიცივე ოც გრადუსამდე უწევს. ოქტომბრიდგან დაწყებული აპრილის დამლევამდე სულ გამუდმებული ზამთარია; ამ რიცხვში ცუდ ამინდებს, ყინვას და თოვლს ბოლო არა აქვს. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ძნელი საცხოვრებელი უნდა იყოს აქ; შეუწუხებლად მარტო შეჩვეულ მთიულებს შეუძლიანთ აქ იცხოვრონ; ბარიდგან გადმოსულებისთვის ძნელი და გასაჭირია აქ ცხოვრება. ეკონომიურად ხალხი ძლიერ დაქვეითებულია. აქ პური არ ითესება, ღვინო არ მოდის; მხოლოდ ქერით იკვებება მთელი ფშავ-ხევსურეთი. მარტო ქვემო ფშავში ჰსთესავენ პურსა და იქაც ზოგიერთ ადგილას. სხვა რამე მეურნეობის დარგს აქ არ მისდევენ. ანდა საიდგან შეიძლება სხვაფრივ, როდესაც არც ბუნება უწყობს ხელს და

---

მინოლოღიას, არდგენს სამეცნიერო ენციკლოპედიას და სხვა ამგვარეპი. ასრე რომ რამდენათაც მე ვიცი, ამგვარი აზრითა და მიზნით დაწერილი წიგნი არ მოიპოვება არც ქართულს და არც სხვა მწერლობაში. მხოლოდ ავტორს აკლია ხელოვნური ძალა, რომლითაც ასრე ძლიერი იყო დიდად სახელოვანი რუსის მწერალი გოგოლი.

წიგნი, რომელზედაც არის ასხმული შინაარსი ილია ალხაზიშვილის შესანიშნავი წიგნის „ბუნება და ცხოვრება“, არის თითქმის ისრეთივე, როგორც „კალმასობისა“. აქაც არის აღწერილი მოგზაურობა ალხაზიშვილისა. მხოლოდ ის აგვიწერს ჯავახეთსა, თრიალეთსა და წალკას. როგორც კალმასობაში ასწერს ხელაშვილი თვის მოგზაურობას, აქაც ეხება ალხაზიშვილი მრავალთა სამეცნიერო საგანთა. მხოლოდ „კალმასობაში“ სამეცნიერო საგნები არიან მოყვანილნი სხვა აზრით, იმ აზრით, რომელნიც ითქვნენ ზემოდ. ალხაზიშვილს-კი მეცნიერება მოჰყავს სხვა აზრით. ისა ჰხსნის მეცნიერულად სხვა-და სხვა ბუნების მოვლენათა ცრუ-მორწმუნეობის დასარღვევად, იმ ცრუ მორწმუნებათა დასარღვევად, რომელთაც ჰხედავს და ესმის იმ ხალხში, სადაც ეს მოგზაურობს. ამასთან გვიხსნის ალაგობრივთა განსაკუთრებითთა ბუნების მოვლინებათა. მაგრამ უფრო მეტი ყურადღება არის მიქცეული იმ ბუნების მწვავს და შეუწყალებელს მოვლინებაზედ, რომელიც ასრე ემუქრის საქართველოს საბოლოვოს, და რომელსაც ახალმა სამეცნიერო სწავლამ უწოდა „ბრძოლა არსებობისათვის“, ანუ „ბრძოლა ცხოვრებისათვის“. ერთის სიტყვით ალხაზიშვილი ეხება მეცნიერებას იმ მხრივ, რომელიც ხელაშვილს არა ჰქონია სახეში, ეხება იმ მეცნიერებათა, რომელნიც არც კი იყვნენ ხელაშვილის დროს, და ეხება ჩვენს ცხოვრებას იმ მხრივ, რომელნიც ხელაშვილის დროს იყვნენ სრულიად უცნობნი.

თავისს წიგნში ალხაზიშვილი ყველაზედ უწინარეს აქცევს მკითხველის ყურადღებას ჩვენს მდგომარეობას იმ ადგილებში, სადაც ეს მოგზაურობს; აღვიძებს მრავალს სამწუხარო ფიქრს ჩვენს წარსულს და დღევანდელს ქცევაზედ, ჩვენს ისტორიაზედ, ჩვენს თავს მომდგარს უბედურებაზედ. მაშინ, როდესაც თითქმის მთელი საქართველოს მდაბიო ერი არის დარჩენილი უმიწა-წყლოდ, ლამის მეტი გაჭირვებით და სიღარიბით გადაჰგვარდეს,—ერი, რომელიც აუარებელი საუკუნოების განმავლობაში სცხოვრებდა მარტო მიწის მუშაობით და ეს გასჯდომოდა ძვალსა და რბილში, ჰქცევოდა სამკვიდრო ნიჭად, დარჩა უყურადღებოდ, —და ამავე დროს ეს ამოდენა ქვეყნები ძველი საქართველოსი: ჯავახეთი, წალკა, თრიალეთი და სხვა, რომელთაც ყოველი ნაბიჯი მიწისა მორწყულა ჩვენი მამაპაპათა სისხლით და გაპოხილა ჩვენთა წინაპართა ბრძოლაში ჩაყრილი ძვლებით,— დღეს ეს ქვეყნები მისცემიათ სხვათ, უცხო თემის ტომთ, რომელთაც ამ ქვეყნების წინაშე არ მიუძღოდათ არც ამაგი, არც გულის შემატკივრობა და რომელთაც თავის ქვეყნებში ერთი ათად, ერთი ოცად მეტი ჰქონდათ ალაგ-მამული ქართველს მდაბიო ერზედ. ახლა, აქ არამც თუ ქართველი აღარა ჰპატრონობს, ქართველი არის აქ უცხოსავით და ამ უცხოთა შორის ის დამდგარა გადაგვარების გზაზედ, ელის მას დაკარგვა ენისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა ..

აი, სხვათა შორის, რას მოგვითხრობს ი. ალხაზიშვილი ამ გადაგვარებაზედ ერთი წალკელი ქართველი სოფლის შესახებ.

„გავედით მდ. ქციას... სამიოდე ვერსის მანძილი რომ გავიარეთ, ერთად-ერთი ქართველი სოფელი ვიპოვნეთ, სახელდობრ რეხა, რომელშიაც ას სამოცი კომლი ქართველობა ასახლია. გამეხარდა, ვიფიქრე: სულ უპატრონობას წამლად ხომ მაინც დარჩენილა ქართველობა წალკაში. მაგრამ ისრე თქვენი მტერი და დამაწყევარი, როგორც მე ამ რეხელების ნახვამ დამაღონა. აჰა შენი ნაფლეთები, მრავალტანჯულო საქართველო! რეხელებმა ქართული საყველპუროდ-ღა იციან, ამათაც ღვიძლი დედაენის ქართულის მაგიერად დედინაცვლად თათრული ენა გახდომიათ. ღვდელი „ბერძენი“ ჰყავთ, რომელიც ეკლესიაში ბერძნულათა სწირავს... ქადაგებას ეს ღვდელი თათრულად ეუბნება, რადგან რეხელებმა ბერძნული არც ერთი სიტყვა არ იციან, და მღვდელმა ქართული არ იცის. ამიტომ აღსარებასაც თათრულად ეუბნებიან“.

განა, კარგს მდგომარეობაში ჩაცვივნულან თავისსავე ნაამაგდარს და სისხლით დაცულს ქვეყანაში, რომ ღვდელსაც კი ქართველს არ აძლევენ და იძულებულნი არიან უცხო ტომის ღვდელს აღსარებაც კი თათრულად უთხრან!..

„სკოლაზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი,—გვიამბობს შემდეგ ალხაზიშვილი:—რატომ სკოლა არა გაქვთ მეთქი?—სკოლა როგორ არა გვაქვს, ჩვენი სკოლა სამი ვერსის მანძილზეა, სოფ. ავრანში, სადაც „ბერძენი“ მასწავლებელი მხოლოდ რუსულს ასწავლის.

„გადაგვარდებიან, მა რა ჯანაბაა! იცით ეს ამბავი სადა ხდება? ჩვენ თვალწინ, ტფილისიდგან ერთის დღის სავალზედ“

და მე დაუმატებ: ზედ შუა გული ქართლის პირასა.

„ვაი საბრალოს ჩვენს საქართველოს, ჩვენ დავებადეთ მას შესარცხვენად“!!

ამბობს ავტორი გულ ჩაწყვეტით პოეტის სიტყვებს.

„ეგ რათ გინდათ,—განაგრძობს ავტორი: ქართველების ისტორიაში ამგვარს მხეცურს ფაქტსაც ვპოულობთ: „დომენტი კათოლიკოზმა სპარსეთის შაჰს განუცხადა: უკეთუ საქართველოს ტახტს მე მომცემ, მაშინ მაჰმადის სჯულს მივიღებ და ცოლსაც შევირთავო.

„გაჰყიდეს ქართველმა დიდებულებმა სამშობლო ფაშობაზედ და სხვა პირად სარგებლობაზედ, გასცეს ეს გაძლიერებული ქართული სიცოცხლით არე-მარე, .და მას აქეთ ოსმალთა მთავრობამ ქართველთა დიდებულთავე შემწეობით განმძვინვარებული დევნა დაუწყო ქართველების ენას და სარწმუნოებას... როგორა გგონიათ, ვინ გარბოდნენ სტამბოლს ხონთქართან სხვა-და-სხვა პროექტებით, თუ რა საშუალებით შეიძლება უფრო საჩქაროდ და ადვილად გადაგვარება ქართველებისა? პროექტების ავტორნი გახლდნენ ქართველებივე, რომელთაც თავისი მამა-პაპის სჯული ჰგმეს, მაჰმადიანობა მიიღეს და მასთან ჯილდოთ ფაშობა, სანჯახბეგობა, მამულები და სხვა მრავალი პატივი..,“

ჰკითხულობ ამას და გული გიწუხს. ადგილნი, რომელნიც ცხვირწინ უდევს გულსაქართველოს, ერთხელ შეადგენდა ქართველი მოსახლე ერის შუაგულ ადგილას, დღეს დარჩენილან თვითო ოროლა სოფელნი და ესენიც ჩვენ თვალწინ, სწორედ იმ დროს, როდესაც გამოვიდნენ ოსმალთა ბატონობიდამ, შემოგვიერთდნენ ჩვენ, თავის მოძმეთა, ქრისტიანთა ერთ, სწორეთ ამ დროს ჰგვარდებიან ეს ქართველნი, ჰკარგავენ ენას, თავისს ეროვნებას!.. მერე, როგორა გგონია მკითხველო, რა გარემოებაში?..დღიდამ ჩვენს სახელმწიფოსთან შემოერთებისა, ოსმალთა ბატონობიდამ თავის დახსნისა, მოხელენი ჰყვანდათ ქართველნი, მღვდელმთავარნი ქართველნი! და არ იზრუნეს, რომ მოეცათ ღვდელი მაინც ქართველი, გაეხსნათ ერთი უბრალო მდაბალი სოფლის შკოლა ქართული ენით!!. „ვაი საბრალოს ჩვენს საქართველოს ჩვენ დავებადეთ მას შესარცხვენად“!! გავიმეოროთ ჩვენც...

ანტონ ფურცელაძე

(შემდეგი იქნება)

არც ცოდნა შესწევს ხალხს? ზოგან შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ეგ იშვიათია, საქონელიც ნაკლებადა ჰყავთ. დიდის თოვლის გამო ხალხი ზოგჯერ გარეთაც ვერ გამოვა, მაგრამ კიდეც რომ გამოვიდეს, რა უნდა გააკეთოს, როდესაც მისის უცოდინარობისა გამო არაფერი არა აქვს გასაკეთებელი. სახლებს არწივებსავით მაღალ კლდეების გამოზნექილ კალთებზედ იკეთებენ. სახლიდგან სახლი კაი მანძილზეა მოშორებული, ხოლო სოფელი სოფლიდგან 10—15 ვერსის სიშორეზეა გატყორცნილი, ამიტომ ერთმანეთის ჭირ-ვარამი იშვიათად ესმით, ერთმანეთთან დასახმარებლად მისვლა-მოსვლა არ იციან, გაჭირვების დროს დახმარება, თხოვება და თანაგრძნობაც მათში არ არის გავრცელებული. სხვას რა უნდა მისცენ, როდესაც თითონ არაფერი გააჩნიათ: გახვეულნი არიან ძონძებსა და ტყავებში, დაფლეთილი და დაკონკილი დადიან?

სიწმინდე და სისუფთავე სრულიად არ უყვართ; პირის დაბანა დამცირებად მიაჩნიათ; თავს ბინძურად ინახავენ; ხელების დაბანა არამც თუ საჭმლის წინ, არამედ მის მომზადების დროსაც, მაგალ., ცომის დაზელის დროს, არ იციან. ერთის სიტყვით ბინძურად სცხოვრობენ, განსაკუთრებ. თ ხევსურები. *) ქრისტიანული სარწმუნოებაც ამ ბოლო დრომდე არა სანატრელ მდგომარეობაში იყო; მღვდელს და მღვდელ მოქმედებას ძლიერ გულ ცივად უყურებდნენ; ეკკლესიაში წირვალოცვაზე სიარული ეჯავრებოდათ. სამაგიეროდ, თავიანთ „დეკანოზებს“ *) ბრმად ექვემდებარებიან. ზოგან ეხლაც აუარებელ ხალხის თანადასწრებით თავისებურად ასრულებენ „დეკანოზები“ მღვდელ-მოქმედების წესებს, მაგ., ქორწინებას, ნათლობას, წესის აგებას და ხალხი მათი ყურ-მოჭრილი მონაა; რასაც უბრძანებენ დეკანოზნი, ხალხი დაუყოვნებლივ ასრულებს. ხალხის ასეთს ფანატიკოსობას ზოგჯერ ცოტას გადარჩენიან იქაური ზოგიერთი სულიერი მოძღვრები. მაგრამ ერთი ყველაზე უარესი და მეტად შემაძრწუნებელი ჩვეულება კიდევ დარჩენილა ბევრ ადგილას. ეს ის არის, რომ ორსული დედაკაცი უწმიდურად ითვლება და მშობიარობის დროს უპატრონოდ არის. იმას არამც თუ არ უვლიან რიგისამებრ, არამედ ხალხშიაც, არ აყენებენ და ახლოც აღარ ეკარებიან. საწყალი ქალი სადმე შორი-ახლო ქოხში უნდა გადასახლდეს და თავისს თავს თითონ უპატრონოს რამდენსამე ხანს. ასეთი ჩვეულება, ვგონებ, ჩეჩნებშიაც არ არის გავრცელებული. რაღა თქმა უნდა, ასეთ ჩვეულებას ბევრი უბედურება მოსდევს, განსაკუთრებით ზამთარში არა ერთი და ორი დედაშვილი ხდება მისი მსხვერპლი.

მაგრამ ამ ბოლო დროს სხვაფერი დაედო ფშავ-ხევსურეთს, მისი ბედი და ცხოვრების ჩარხი წაღმა მოტრიალდა და ხვალ თუ ზეგ, ჯერ ისევ ბნელით მოცული ფშავ-ხევსურეთი, ნათელით უნდა მოიფინოს. ყველა ამის განსახორციელებლად პატრონი და მზრუნველი უკვე მოევლინა მათ. ეგ პატრონი სასულიერო მთავრობაა, ხოლო მზრუნველები — ბ-ნნი თიანეთის მაზრის უფროსი, თიანეთის მომრიგებელ-მოსამართლე, თიანეთის მაზრის ექიმი და სხვანი. სასულიერო მთავრობამ ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფშავ-ხევსურების გაუმჯობესობას გონებრივად და ზნეობრივად. მან გვერდით სამოქალაქო მთავრობა ამოიყენა და შეერთებულის ძალით სცდილობს ეკლიანი გზა გაუკაფოს სწავლა-განათლებას, სინათლესა და ჭეშმარიტებას. „მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ ინსპექტორი ბ-ნი ევტიხი მამინაიშვილი ძალიან მოწადინებულია, რაც შეიძლება, ბლომად დააარსოს სკოლები და მით გაუღვიძოს ხალხს ჭეშმარიტი სარწმუნოება და ბოლო მოუღოს მისს ცუდს ზნე-ჩვეულებას. საზოგადოება სცდილობს ქონებრივად თანდათან გააუმჯობესოს აქაურ მღვდლებისა და მასწავლებლების მდგომარეობა. ყველა ამას ნათლად ჰმოწმობს ამ წლის მარტის რიცხვებში მომხდარი კრებები თიანეთში. ფშავ-ხევსურეთის წინ-მსვლელობის საქმეში დიდი მნიშვნელობა იქონია აგრეთვე მეორე სალაღოჩინო ოლქის დაწესებამ. მამა ბლაღოჩინი ი. პერტაია ერთი უპირველესი მოღვაწეთაგანი შეიქმნა ამ დაქვეითებულ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. იგი, როგორც გავიგეთ, თოვლს და ზვავებს არ უშინდება და ერთი სოფლიდან მეორეში გადადის, რომ ყველას მონაწილეობა მიაღებინოს ხალხის წინმსვლელობის საქმეში. თავისს სამრევლოშიაც ბევრი რამე გაუკეთებია, თუ ასე გასტანა, ხალხი მალე ფეხზედ წამოდგება და წელში გასწორდება.

ივანე შიოშვილი

*) ყველა ამათ ამ ბოლოს ხანს მოსპობის ნიშანი დაეტყოთ. როგორც ქვემოთ ვიტყვით, განათლების სხივებმა მათ შორისაც შეაშუქა.

*) „დეკანოზებს“ ეძახიან უფროსად ამორჩეულ მოხუცებულ კაცებს, რომლების მოვალეობაც ის არის, რომ მღვდლის მაგიერობა გაუწიონ ხალხს.

## წერილი პარიჟიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

თუმცა გამოფენის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია და სულ რომ ცოტა, ერთი თვე მაინც გასტანს პავილიონებში მუშაობა, მთავრობამ მაინც საჭიროდ სცნო და ამ თვის 2 (15) ჩვეულებრივი ცერემონიით გახსნა იგი. კომერციის მინისტრმა მილიერანმა და მთელის გამოფენის უფროსმა კომისარმა პიკარმა მიიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტი სადღესასწაულო დარბაზში, რომელიც მშვენივრად იყო მორთული და სადაც შეკრებილი იყო მრავალი საზოგადოება. აქვე იყო სამინისტროს თავმჯდომარე, ვალდეკ რუსსო, სენატორები, დეპუტატები, პროფესორები, ქალაქის მერი და სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. გაზაფხულის მზემ საუცხოვოდ შეუწყო ხელი საერო დღესასწაულს. პარიჟი მოირთო ბაირაღებით, საღამოზე კი რესპუბლიკის ყველა დაწესებულებანი, ისე როგორც თვით გამოფენის შენობანი, ათასფერად იყო განათებული.

რადგან რუსეთის განყოფილება უკვე დასრულებულია, ამიტომ ის სხვებზედ უფრო ადრე გაიხსნა. ეზოში რუსეთის პავილიონის წინ 4 (17) ამ თვეს ორ-პირად წყობისად იდგნენ რუსის მუშები და ყველა, ვინც მის მოწყობა-გამართვისათვის მონაწილეობას იღებდნენ. თერთმეტის ნახევარზე მობრძანდა რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც „ურა“-თი შეეგებნენ. მას თან ახლდა გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასსე, მილიერანი და პიკარი.

კარებში რუსეთის ელჩი თ. ურუსოვი მიეგება. აქვე იყვნენ უფროსი კომისარი რუსის განყოფილებისა თ. ტენიშევი, ვიცე-პრეზიდენტი საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებისა სემენოვი, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელი. რ. ისარლოვი და სხვანი.

თავადმა ურუსოვმა მადლობა მოახსენა პრეზიდენტს, რომ მან კეთილ-ინება და რუსის განყოფილება პირველი ინახულა. საპატიო პავილიონში თ. ურუსოვმა მიართვა საფრანგეთის რუკა-რელიეფი, რომელზედაც სხვა და სხვა ქალაქები ძვირფასი ქვებით არიან აღნიშნულნი. ეს რუკა რუსეთის იმპერატორმა უძღვნა ქალაქ პარიჟს. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ამ გვარი ძვირფასის საჩუქრისთვის. მუსიკამ დაუკრა მარსელიეზა და რუსული ჰიმნი.

შემდეგ პრეზიდენტი წაბრძანდა კავკასიის განყოფილებაში, სადაც, სხვათა შორის, მას წარუდგინეს რ. ისარლოვი. პრეზიდენტმა დაჰყო რამდენიმე ხანი ციმბირის და სხვა განყოფილებებში და გაკვრით დაათვალიერა. ამ დროს მუსიკა და ზარები *) არ შეჩერებულა. თორმეტის ნახევარზე ბატონი ლუბე გამოეთხოვა რუსეთის ყველა წარმომადგენლებს და დასტოვა გამოფენა.

X.

*) უმთავრესი პავილიონი მოსკოვის კრემლს წარმოადგენს, რომელიც ცნობილია თავისის ზარებით.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

სამი კვირა გავიდა, რაც ქალაქ ვეპენერს გარს არტყიან ბურები და ამ ხნის განმავლობაში, თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს ინგლისელებმა იქ დამწყვდეულ თავიანთ ჯარის განთავისუფლება. ინგლისის გაზეთებმა და დეპეშათა სააგენტოებმა თუმცა რამდენჯერმე აუწყეს ქვეყნიერობას, რომ ბურებმა ალყა შემოხსნეს ქალაქს და გაიქცნენო, მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა და საქმე წინანდელს მდგომარეობაშია. ბრაბანტის დივიზია და გენერალ გარტის ბრიგადა 10 ვერსით დაუახლოვდნენ ვეპენერს სამხრეთის მხრივ, მაგრამ შემდეგ რა გააკეთეს ამ ჯარებმა, საიდუმლოებით არის მოცული. რადგან ამ ორი გენერლის ჯარში 8000 კაცამდე იყო და მაინც ვერა გააწყვეს რა, უნდა ვიფიქროთ, რომ ვეპენერის გარშემო ბურებს კარგა ბლომად ჰყავთ ჯარი. ამასთანავე ამ რამდენიმე დღის წინად დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ უველგან მეოფე ოლივიე 1500 კაცით თავს დასხმას უპირებს ინგლისის ჯარსო. ბრიტანიის სამი დივიზია, რომელიც ბლუმფონტენიდგან გავიდა, დანარჩენ ჯარებთან ერთად ვეპენერის გასანთავისუფლებლად, ჯერ შუა გზაზედ იმყოფება და, როგორც დეპეშამ ამბავი მოიტანა გუშინ, პოლ-კერიუს დივიზია უკანვე დაბრუნებულა. ინგლისელებს, ცხადია, ყველაფერზე უფრო ხელს უშლის დიდი წვიმები, რამაც საშინლად გააფუჭა ორანჟის რესპუბლიკაში უბრალო გზები გარდა — რკინის გზის ლიანდაგის. გარდა ამისა ინგლისის მხედრობას, რომელიც მოწადინებულია ვეპენერის გარშემო მყოფი ბურები შუა ზედ მოიმწყვდიოს, დიდათ აბრკოლებს მთა-გორები, რომლითაც მოცულია ვეპენერის მიდამო. ამას ისიც უნდა დაუმატოს, რომ უგზოობის გამო საკმაო სურსათს, უთუოდ, ვერ აწვდიან ინგლისის ჯარებს და უსმელ-უჭმელად რა უნდა გააწყოს ჯარმა. შეიძლება, ამ გარემოებამ აიძულა პოლ-კერიუ ბლუმფონტენშივე დაბრუნებულიყო, რომელიც იმ აზრით იყო გაგზავნილი, რომ ფრენჩთან, ბრაბანტთან და გარტთან ერთად ემოქმედნა მტრის წინააღმდეგ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში არსებობს ჰაერონავტთა კლუბი. ამ კლუბის ერთ წევრს ამას წინად 100,000 ფრანკი გადაუდვია იმის დასაჯილდოვებლად, ვინც კარგ ჰაერში საფრენ მანქანას გამოიგონებს. მანქანა კარგად ჩაითვლება მაშინ, თუ შესძლო კაცმა იმის შემწეობით კლუბის სადგომიდგან ან მახლობელ გორაკიდგან ეიფელის კოშკამდე გადაფრენა და იქიდგან უკან დაბრუნება. სიგრძე ამ გზისა სულ 11 კილომეტრია; ეს მანძილი მანქანამ ნახევარ საათში ან ნაკლებ ხანში უნდა გაიაროს. ამ ჯილდოს საერთა შორისო ხასიეთი აქვს. ვადად ხუთი წელიწადია დანიშნული.

* * *

კოპენჰაგენის ერთ რესტორანში ყმაწვილი კაცი იჯდა და საუზმეს შეექცეოდა. ცოტა მოშორებით მეორე სტოლზედ ორი სხვა კაცი იჯდა, ერთი მათგანი პროვინციელი ვაჭარი იყო. ვაჭარი გაცხარებული ელაპარაკებოდა თავისს ამხანაგს. სხვათა შორის ვაჭარმა უამბო ისიც, რომ ჩვენს ქალაქში სცხოვრობდა ახალგაზდა კაცი, ვინმე ნილსენი, რომელიც ეს რამდენიმე კვირაა სადღაც გაჰქრა და აღარსადა სჩანსო. ეს სიტყვები გაათავა თუ არა ვაჭარმა, მეორე სტოლზედ მჯდომმა ყმაწვილმა კაცმა წამოიძახა, ვილსენი მე ვარო. მართლაც ეს ყმაწვილი ვილსენი იყო. ვაჭარი არ იცნობდა წინად, მაგრამ ყმაწვილმა ისეთი რამეები უამბო, რომ ვაჭარი დარწმუნდა, ვილსენი მართლა ეს არის და არა სხვა ვინმეო. საკვირველი ამ შემთხვევაში აი რა არის. სამის კვირის წინად ვილსენი ინფლუენციით ავად გამხდარა. ავადმყოფობაში ყმაწვილ-კაცს მიუნებებია თავი მამის სახლისთვის და კოპენჰაგენში წასულა. ვილსენს ყველაფერი დავიწყნოდა: როგორ წამოსულა კოპენჰაგენში, რას აკეთებდა, ვისი შვილი იყო, ასე გასინჯეთ, თავისი საკუთარი გვარიც-კი დაჰვიწყნოდა. მხოლოდ მაშინ მიხვდა ვინ და რა გვარისა იყო, როდესაც ვაჭარმა რესტორანში ვილსენის გვარი ახსენა. ვაჭარმა ყმაწვილი კაცი ქალაქში ჩაიყვანა და დედ-მამას ჩააბარა. თურმე ინფლუენციის შემდეგ კაცი ხშირად ჰკარგავს ხოლმე მეხსიერებას, რასაკვირველია, დროებით. მოხსენებული ვილსენი მთელი სამი კვირა დადიოდა თურმე კოპენჰაგენში და მაინც ვერ მოესაზრა: ვინ იყო და რა იყო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აპრილი.

**მოსკოვი.** დღეს თეატრის მოედანზედ, 12 საათზედ უმაღლესი პარადი იქნა გამართული. გამოსული იყო 40 ბატალიონი ქვეითა ჯარისა, 6 ესკადრონი და 4 სოტნია კავალერიისა და 36 ზარბაზანი. მოედანს აუარებელი ხალხი ეხვია. პარადს უფროსობდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. მოედანზედ მშვენიერი სამეფო პავილიონი მოჩანდა, შიგნით ყვავილებით მორთული. 11 საათზედ მობრძანდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, 12 საათზედ—დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული და სამეფო პავილიონში შევიდა. ამავე დროს მოვიდნენ ცხენებით და მოედნის ცალმხარეს დადგნენ: მინისტრები სამხედრო და სასახლისა, ამალის უფროსი და ლეიბ-ტრუბაჩები. მეორე მხარეს დადგნენ: მორიგი გენერალ ადიუტანტი, კავალერგარდის რაზმის უფროსი და ფლიგელ-ადიუტანტი; შუაში ეტლი იდგა დედოფალ იმპერატრიცისათვის; ხელმწიფისათვის ცხენი მოამზადეს. $11^1/_2$ საათზედ მობრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი. ხალხი დაუსრულებელის „ურას“ ძახილით მიეგებათ. შებრძანდა რა ცხენზედ, ხელმწიფემ მოისმინა მოხსენება ჯარის უავგუსტოეს უფროსისაგან, გაემართა მარჯვნივ და კადეტებს მიესალმა. დედოფალი ეტლში ჩაბრძანდა. ეტლშივე დაიჭირა ადგილი დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა. ეტლის მარცხნივ ცხენით მიბრძანდებოდა ხელმწიფე. მუსიკამ მისაგებებელი მარში დაუკრა. გაისმა ჯარში „ურას“ ძახილი. დედოფალი პავილიონიდგან უყურებდა ცერემონიალურ მარშს. ხელმწიფე ცხენით პავილიონთან იდგა. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა ჯარს. შემდეგ პავილიონთან შეიკრიბნენ ჯარის უფროსნი; იმპერატორმა მშვენიერის პარადისათვის მადლობა გადაუხადა როგორც მათ, აგრეთვე დიდ მთავარს სერგეი ალექსანდრეს ძეს. 2 საათზედ, კრემლის სასახლის დარბაზებში უმაღლესი საუზმე იქნა გამართული. ხელმწიფემ მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის სადღეგრძელო დალია, ხოლო დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ—იმპერატორისა.

**ბათუმი.** 16 აპრილს მოვიდა რკინის გზით ტფილისიდგან გამოგზავნილი ყუთი. შეენიშნათ, რომ ყუთიდგან სისხლი სწვეთდა. გახსნეს და შიგ აღმოჩნდა ძლიერ დასახიჩრებული კაცის გვამი. თავი და ფეხები მოჭრილი ჰქონდა და ყუთში იყო ჩაგდებული. ქაღალდში აღნიშნული იყო: „გამგზავნი ბესოშვილი; ადგილაში; თუშური ყველი“.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან, რომ ცხენოსანი ჯარი, რომელიც გაგზავნილი იყო, რათა ბურებს დასდევნებოდა, დაბრუნდაო.

„Daily Chronicle“-ს დეპეშით ატყობინებენ იქიდგანვე 12 აპრილს, რომ საზვერად წასულმა ინგლისის რაზმმა გაიარა 25 მილი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ და ერთის გორაკიდგან 400 ბური განდევნაო. ბლუმფონტენიდგან 12 აპრილს იუწყებიან, რომ მცირე რიცხვს ბურებისას ჯერ კიდევ უჭირავს სმიტფილდიო. როგორც ბლუმფონტენიდგან მიღებულ, ტრანსვაალის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ, სიიდგანა სჩანს, ბურების ჯარი 1899 წლის დეკემბერში 54,000 კაცისაგან შესდგებოდა, თუ 5000 მეამბოხე არ ჩაითვლება. ბურებს მოაკლდათ: 6,500 ტყვედ წაიყვანეს ინგლისელებმა, 8000 მოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლული და დაჭრილია. არ არის გამორკვეული სადაა ის 14,000 კაცი, რომელიც აკლია. ბურების ოფიციალურის ცნობებით, ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ.

„Times"-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან 14 აპრილს: „რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ მოსამსახურე კაფრები თავს დაეცნენ ჰოლანდიელ დედაკაცებს, რომელნიც უმამაკაცებოდ ფერმებში დარჩნენ. დამნაშავეებს, თუ შეიპყრეს, სიკვდილით დასჯიან.

„Times"-ს დეპეშით ატყობინებენ მეფკინგიდგან 30 მარტს: „გუშინ 6 თვე შესრულდა, რაც მეფკინგს ალყა არტყია. ბურებმა ეს დღე იმით იდღესასწაულეს, რომ ქალაქს ყუმბარები დაუშინეს და ზარალი დიდი მიაყენეს, თუმცა კაცი არავინ მომკვდარა და დაჭრილა. დღეს ბურებმა მოიწადინეს ადგილობრივ მცხოვრებთა სიმაგრეების აღება, მაგრამ ამ უკანასკნელთ განდევნეს, როდესაც ბურები 500 იარდის მანძილზედ მიუახლოვდნენ სიმაგრეებს.

„Daily Telegraph"-ს ატყობინებენ ვარრენტონიდგან 14 აპრილს, რომ ბურებმა ხელ-ახლა დაიჭირეს ის პოზიცია, საიდგანაც წარსულ სამშაბათს იქმნენ განდევნილნიო.

ჩიკაგოდგან ატყობინებენ დილის გაზეთებს, რომ აქ ბევრ სამრეწველო ქარხანაში მუშებმა მუშაობა აღკვეთესო.

„Standard"-ის დეპეშით ატყობინებენ დურბანიდან, რომ ჯარის უფროსი კლარპორტი ბიგარის მთებიდგან მეფკინგისაკენ წავიდა, რათა გზა შეუკრას ბერიდან მიმავალ გენერალ კარინგტონსო.

**ტაბანჩუ.** ფრენჩმა ცხენოსან ჯარის ორი ბრიგადა გაჰგზავნა და დაავალა, რომ დაეზვერათ ტაბანჩუს აღმოსავლეთ მხარეს სერები. დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ სერები ჯერ კიდევ გამაგრებული აქვთ ბურებს, რომელნიც უკანა ჯარს უნდა შეადგენდნენ, რადგან მათთან ურმები არ არის.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა გამოფენაზედ მომხდარ უბედურების შესახებ. ვალდეკმა ბრძანება გასცა გამოიძიონ იმის მიზეზები: თუ საჭირო დარჩა, დაშავებულთ დახმარებას აღმოუჩენენ. მილიერანმა მოაგონა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც მიღებულია გამოფენის უზრუნველყოფისათვის. კომისიებმა დაათვალიერეს შენობები და სხვა ყოველივე, რაიცა შეეხება შესასვლელების უზრუნველ ყოფას. ვიღაცა ხუმარამ ხმა გაავრცელა, რომ გამოფენაზე, შვეიცარიის სოფელში, ცეცხლი გაჩნდაო. ეს ხმა არ გამართლდა. ხუმარას დაეძებენ.

18 აპრილი

**ლონდონი.** გელბეკ-სტრიტში, რუსულ ეკკლესიაში მოხდა ჯვრისწერა რუსეთის ელჩის სტაალის ქალისა და გრაფის ა. ორლოვ-დავიდოვისა. დაესწრნენ პრინცი უელსისა, ლორდ როზბერი, ჰერცოგინია დევონშირისა და სადიპლომატო კორპუსი. ჯვარის წერის დროს დედოფლის ვუალს ცეცხლი წაეკიდა იმ სანთლისაგან, რომელიც ხელში ეჭირა, მაგრამ ორლოვ-დავიდოვმა მალე სტაცა ხელი და ააძრო ვუალი.

**პარიჟი.** მანქანების გალერეიაში ჩატყდა ხეები, რის გამო ორი მუშა მოკვდა და ორი დაიჭრა.

**კოპენჰაგენი.** დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და უელსის პრინცესა 14 აპრილს დილით წავიდნენ ნეი მიუნსტერში, საიდგანაც დედოფალი რუსეთში წაბრძანდება, ხოლო პრინცესა—ინგლისში.

**ვაშინგტონი.** სტატს სეკრეტარი გეი ისევე მოექცევა ბურების მისსიას, როგორც ყველა სხვა წარჩინებულ დიდის თანამდებობის კაცს, რომელიც შეერთებულ მთავრობასთან მივა ხოლმე და მიიღებს მისსიას, მაგალითად, ისე, როგორც მონტეგიუ უაიტი, მაგრამ ამასთან გეი იმ აზრისაა, რომ მისსიას უფლება არა აქვს რაიმე მოლაპარაკება დაიწყოს გარეშე საქმეთა სამინისტროსთან.

**ამსტერდამი.** ბურების რესპუბლიკების დეპუტაცია დღეს ამსტერდამში იყო და მიღებულ იქმნა ტრანსვაალის აქაურ კომისიის მიერ. ხალხი მხურვალედ მიეგება მოსულთ: ბურგომისტრმა მიიღო დეპუტაცია. საღამოზედ დეპუტაციამ მიიღო მრავალი ხალხი, იყვნენ ბურგომისტრი, მოხელენი, რამდენიმე კორპორაცია. დეპუტაციის წევრებს სიტყვები არ წარმოუთქვამთ. ხვალ ყრილობა იქმნება გამართული, რომელზედაც დეპუტაციას თანაგრძნობას გამოუცხადებენ. ყრილობას დეპუტაციის წევრებიც დაესწრებიან.

**ვენა.** ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი აქ მოვიდა სამის უფროსის შვილით და მაშინვე სოფიაში წავიდა.

**პრეტორია.** იოგანესბურგში მომხდარ აფეთქების გამო, მთავრობამ გამოსცა დღეს ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ რესპუბლიკაში დარჩენილი ინგლისის ქვეშევრდომნი, თითო ოროლას, 48 საათის განმავლობაში უნდა გავიდნენ რესპუბლიკიდგანაო. ამავე დროს მთავრობა აწესებს განსაკუთრებულს საპოლიციო სამსახურს მთავრობის ქარხნებში მყოფ უნგრელ და იტალიელ მუშათა დასაცველად.

**პორტოსაიდი.** ევროპიელთა უბანში 2 კაცი გახდა ავად შავის ჭირით და ორივე გარდაიცვალა; დღეს მესამეც გამხდარა ავად.

---

### „ივერიის" ფოსტა

**მღ.—მონ. დავითს.** სასურველია, რომ თქვენი წერილი ქართველ-მაჰმადიანთა შესახებ რუსულს ენაზედ დაისტამბოს. ჩვენ მოუხერხებლად მიგვაჩნია მაგ წერილის დაბეჭდვა.

**აზ. მ. ძ. ლ—ძეს.** მაგ შინაარსის წერილი უკვე გვქონდა დასტამბული.

**ერთ ვინმეს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ხ—მი. ი. მ—ძეს.** თქვენის საჩივრით მიჰმართეთ ტფილისის გუბერნიის სამკურნალო განყოფილებას.

**ვერმიცანიძეს.** არ დაიბეჭდება.

**მეცხვარე ნესტორს** არ დაიბეჭდება.

**სოფ. ბარ—თი. ა. მი—ძეს.** „თავისუფალ კორესპონდენტს" მარტო ქართველები არა ჰყავს მხედველობაში, არამედ უმთავრესად დაზარალებულთა თანამოძმენი. ჩვენის აზრით თქვენი წერილი უბრალო მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. არ დაიბეჭდება.

**გლეხს ტ. გ—ძეს.** ეგ ამბავი რამდენჯერმე გვქონდა დაბეჭდილი.

**სოფ. აჭ—რი. დ. აჭ—ძეს.** ან სოფელმა უნდა გარდაუხადოს მადლობა, ან მთავრობამ, კერძო კაცის მხრივ მადლობის დაბეჭდვა მოუხერხებელია.

**ს. ხ--ლი. აზ. ნ. მ--ს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ა—თი ფ. ჭ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ვიღაცას**, არ დაიბეჭდება.

**ს. ა--შა. ძ. ძ--ს.** არ დაიბეჭდება.

**სოფ. გ--გული. მ. გ. თ--ძეს.** „აღდგომა დილას" არ დაიბეჭდება.

**ესოს.** სააღდგომო სურათი არ დაიბეჭდება.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს იოსებ ლეჟავას, რომელმაც გამომიგზავნა 300 ცალი პატარა წიგნაკი ჩემდამო რწმუნებულ სამრევლო სკოლის და მასთან არსებულის საკვირაო სკოლის მოწაფეთა შორის უსასყიდლოდ დასარიგებლად. ამ წიგნაკებიდგან 230 ც. საკვირაო სკოლის წიგნთ-საცავს გარდავეცი და 70 ც. ჩემს მოსწავლეთ დავურიგე.

მასწავლებელი თელავის ტაძრის სკოლისა ჭიკაძე.

---

### სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

22 აპრილი

საქმე მღვდლის ელიშე გეგომიანცისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-190 და 194 მუხ. დანიშნული ბრალი ედება.

ქ. ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციელის ჩაევსკისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი უკანონობანი ჰბრალდება.

დიოდიმე ჯინორიასი, დათა კორძახიასი და მარინე რუბენიასი, რომელთაც ფიცით ცრუ მოწმობა ჰბრალდებათ.

ივანე კოკაშვილისა, რომელსაც მამის მოკვლა ჰბრალდება.

ილია ბექანაშვილისა და ივანე წილკაშვილისა, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებათ.

25 აპრილი

ყარამან და ქრისტინა ძიძიგურებისა, რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 238 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

დავით შავარდნაძისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე-1480 მუხლ. აღნიშნული ბრალი ედება.

ონისიმე ლოლუასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა-ჩადენა ჰბრალდება.

იროდიონ გეგელიძისა და ალექსანდრე კიკნაძისა, რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 236 მუხ. აღნიშნული ბრალდებათ. იე

---


## განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ცერიოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—5)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნებართვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან ლამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ჭიქა — 2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—93)

## ცფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 22 აპრილს 1900 წელს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დამტვრეულ ქვისა და ქვიშის მოსატანად ქალაქის გზატკეცილების შესაკეთებლად: 1, 2 და 3 პოლიციის ნაწილებში საჭიროა 100 კუბიკური საჟენი ქვა და 20 კუბიკური საჟენი ქვიშა; მე-4, 5 და 6 ნაწილებში—50 კუბ. საჟენი ქვა და 10 კუბიკური საჟენი ქვიშა; მე-7 და 8 პოლიციის ნაწილში—250 კუბ. საჟენი ქვა და 50 კუბ. საჟენი ქვიშა და მე-9 და 10 ნაწილში—200 კუბ. საჟ. ქვა და 40 კუბ. საჟენი ქვიშა; ამასთანავე ეს საქმე შეიძლება გადაეცეს მსურველს ერთად ანუ ნაწილ-ნაწილ. მსურველს პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მესამე ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, ცხრა საათიდგან სამ საათამდე.

(3—6.—1)

## ცფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით ამა 1900 წლის 12 მაისს მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც გაიყიდება ქალაქის (აბესალომოვისეული) ორ-სართულიანი აგარაკი მიწით, ზომით 203 ოთხ-კუთხი საჟენი, დაბა ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. ვაჭრობა სიტყვიერადაც შეიძლება და წერილობითაც, დაბეჭდილის კონვერტებით. აგარაკთან ერთად იყიდება მოძრავი ქონებაც: ავეჯეულობა, სასადილო, ჩაისა და სამზარეულოს ჭურჭელი. მიწა აგარაკს მიზომილი აქვს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 1851 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებულ იმ წესების თანახმად, რომელიც ბორჯომში საგარაკო მიწების სარგებლობას შეეხება.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის კანცელარიაში გასინჯონ ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დგან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 12 მაისამდე, დილის 12 საათამდე. ამ კონვერტებში უნდა იყოს: ბე 2000 მანეთი, აღნიშნული: სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადრესი იმისი, ვინც მამულის ყიდვას აპირობს, აგრეთვე უნდა აღნიშნოს უმაღლესი ფასი. იმათ, ვინც ქალაქს გარეთა სცხოვრობს და ვაჭრობა სურს, პირობანი მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ.

(5—6.—3)

ამა წლის პირველ აპრილიდგან

## დაბ. ქარელიდან დ. ცხინვალამდე

## ევლის ომნიბუსები

**კაცის თავზე ფასი 90 კაპ.** ომნიბუსი ქარელიდგან გავა პირველ საათის ნახევარზე და მივა ცხინვალს 4 საათსა. ცხინვალიდან წამოვა დილის შვიდ საათსა და იქმნება ქარელს ათის ნახევარზე.

ომნიბუსების პატრონნი: აზნ. კალატოზაშვილი და თ. ა. ნ. ციციშვილი.

(10—6.—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Апрѣля 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე